**ლადო ჭანტურია**

# გამოხატვის თავისუფლება და სხვათა უფლებები სტრასბურგის სამოსამართლო სამართალში

*ქართული სახელმწიფოს ისტორიაში პირველი საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ თავმჯდომარეს, ჩემს ძვირფას მეგობარს – ავთანდილ დემეტრაშვილს ვუძღვნი წინამდებარე სტატიას.*

## შესავალი

გამოხატვის თავისუფლება, როგორც ადამიანის შესაძლებლობა ჰქონდეს საკუთარი შეხედულება, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია ან იდეები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად, დემოკრატიული საზოგადოების მტკიცე საფუძველს წარმოადგენს და მის შეზღუდვას ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (შემდგომში – „კონვენცია“) მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ლეგიტიმური მიზნისა და საზოგადოებრივი აუცილებლობის არსებობისას უშვებს.[1] კონვენციასთან ამ შეზღუდვების შესაბამისობის შემოწმება წარმოადგენს ეროვნული სასამართლოების კომპეტენციას, მაგრამ ექვემდებარება ევროპულ კონტროლს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მხრიდან.[2]

კონვენციის მონაწილე სახელმწიფოების წინააღმდეგ საჩივრებს სტრასბურგის სასამართლო განსახილველად იღებს მხოლოდ მაშინ, როცა სამართლებრივი დაცვის ყველა შიდასახელმწიფოებ-

[1] საქმეები: Von Hannover v. Germany (no. 2) [GC], nos. 40660/08 and 60641/08, § 101, ECHR 2012; Bédat v. Switzerland [GC], no. 56925/08, §48, ECHR 2016.

[2] შემდგომში - სტრასბურგის სასამართლო ან სასამართლო.

რივი საშუალება ამოწურულია.[3] მიუხედავად ამისა, **სტრასბურგის სასამართლო არ წარმოადგენს მეოთხე ინსტანციის სასამართლოს**. როგორც საერთაშორისო სასამართლო, ის არ იხილავს ეროვნული სასამართლოების მიერ დაშვებულ ფაქტობრივ თუ სამართლებრივ შეცდომებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ეს შეცდომები არღვევს კონვენციით განმტკიცებულ უფლებებსა და თავისუფლებებს.[4] ჩვეულებრივ, სტრასბურგის სასამართლო ეთანხმება ეროვნული სასამართლოების მიერ ეროვნულ კანონმდებლობასთან დაკავშირებით გაკეთებულ განმარტებებს, თუკი ეს განმარტებები არ არის „თვითნებური ან აშკარად დაუსაბუთებელი".[5]

მართალია, ეროვნულ სასამართლოებს მინიჭებული აქვთ კონკრეტულ საქმეზე მხარეთა არგუმენტებისა და მათ მიერ წარდგენილ მტკიცებულებათა შეფასების თავისუფლება, მაგრამ ისინი ვალდებულნი არიან დაასაბუთონ თავიანთი გადაწყვეტილებები და მიუთითონ მიღებულ გადაწყვეტილებათა მოტივებზე. სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, მხოლოდ მოტივირებული გადა-

---

[3] ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის (შემდგომში - კონვენცია) 35 (1) მუხლი.

[4] საქმე Garcia Ruiz v. Spain (GC), no. 30544/96, 21.01.1999, §28.

[5] საქმე Bochan v. Ukraine (Nr. 2) (GC), no. 22251/08, 11.03.2015, § 61: "It reiterates that, according to its long-standing and established case-law, it is not for this Court to deal with alleged errors of law or fact committed by the national courts unless and in so far as they may have infringed rights and freedoms protected by the Convention […], for instance where it can, exceptionally, be said that they are constitutive of "unfairness" incompatible with Article 6 of the Convention. While this provision guarantees the right to a fair hearing, it does not lay down any rules on the admissibility of evidence or the way in which evidence should be assessed, these being primarily matters for regulation by national law and the national courts. Normally, issues such as the weight attached by the national courts to given items of evidence or to findings or assessments in issue before them for consideration are not for the Court to review. The Court should not act as a court of fourth instance and will not therefore question under Article 6 § 1 the judgment of the national courts, unless their findings can be regarded as arbitrary or manifestly unreasonable […].

წყვეტილებები იძლევა მართლმსაჯულების განხორციელებაზე საზოგადოებრივი კონტროლის შესაძლებლობას.[6]

წინამდებარე სტატიაში განხილული იქნება გამოხატვის თავისუფლება სხვადასხვა კონტექსტში. პირველ რიგში ნაჩვენები იქნება გამოხატვის თავისუფლებისა და პირადი რეპუტაციის ურთიერთმიმართება ე.წ. უფლებათა კონკურენციის კონტექსტში (1). საჯარო დაწესებულების ხელთ არსებული ინფორმაციის მოთხოვნის უფლება, როგორც გამოხატვის თავისუფლების შესაძლო განხორციელება, გაანალიზებული იქნება პირადი ცხოვრების დაცულობასთან მიმართებით (2). გამოხატვის თავისუფლებასა და პასუხისმგებლიან ჟურნალისტიკას ეძღვნება შემდეგი პარაგრაფი (3). დაბოლოს, ნაჩვენები იქნება გამოხატვის თავისუფლება და რელიგიური სიმბოლოების ურთიერთმიმართება (4).

## 1. უფლებათა კონკურენცია – გამოხატვის თავისუფლება და პირადი რეპუტაციის დაცვა

ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილების დასაბუთებულობისა და მოტივირების ხარისხი დამოკიდებულია მოცემული გადაწყვეტილების ხასიათზე და შეიძლება შეფასდეს მხოლოდ კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე. მაგრამ, თუ ერთ-ერთი მხარის არგუმენტი გადამწყვეტია საქმის განხილვისათვის, მაშინ ამ არგუმენტს ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა გასცენ მკაფიო პასუხი.[7]

დასაბუთებულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მაშინ, როცა საუბარია კონვენციით გათვალისწინებულ ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფ ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებზე. ამ კონტექსტში საგანგებო აღნიშვნის ღირსია გამოხატვის თავისუფლებისა (კონვენციის მე-10 მუხლი) და პირადი ცხოვრების დაცულობის უფლების (კონვენციის მე-8 მუხლი) ურთიერთ-

[6] საქმეები Hirvisaari v. Finland, no. 49684/99, 27.09.2001, § 30, Suominen v. Finland, no. 37801/97, 01.07.2003, §36.

[7] საქმეები Ruiz Torija v. Spain, no. 18390/91, 09/12/1994, § 29; Hiro Balani v. Spain, no. 18064/91, 09/12/1994, §27.

მიმართება. ამ დროს ეროვნულმა სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს, თუ რომელ ძირითად უფლებას მიანიჭოს უპირატესობა. ასეთ შემთხვევებში აუცილებელია უფლებათა შორის სამართლიანი ბალანსის დაცვა სტრასბურგის სასამართლოს მიერ დადგენილი სტანდარტის შესაბამისად. ამასთან, არა აქვს მნიშვნელობა საჩივარი სასამართლოში შეტანილია გამოხატვის თავისუფლების თუ პირადი ცხოვრების დაცვის მიზნით.[8] სტრასბურგის სასამართლოს ტესტი, რომელიც **სამართლიანი ბალანსის ტესტის** (fair balance) სახელით არის ცნობილი, უფლებათა კონკურენციის საკითხის განხილვისას ეროვნულ სასამართლოებს შემდეგ საკითხებზე პასუხის გაცემის ვალდებულებას აკისრებს: 1. რა იყო სადავო პუბლიკაციის წვლილი საჯარო დისკუსიაში? 2. რამდენად იყო ცნობილი დაინტერესებული პირი, რომელსაც ეს პუბლიკაცია ეხებოდა? 3. რა იყო პუბლიკაციის თემა და ეხებოდა თუ არა ის საჯარო პირს? 4. როგორი იყო დაინტერესებული პირის ქცევა პუბლიკაციამდე? 5. როგორია ინფორმაციის მიღების ხერხი და მისი სანდოობა? 6. პუბლიკაციის შინაარსი, ფორმა და შედეგები, 7. გამოყენებული სანქციის სიმკაცრე.[9]

პირადი ცხოვრების დაცულობისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფის პოზიტიური ვალდებულების შინაარსის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია ამ უფლებების დაცვისას ეროვნული სასამართლოების მიერ **სამართლიანი წონასწორობის, ე.წ. ბალანსის უზრუნველყოფა და კონვენციით დადგენილი სტანდარტის დაცვა,** რაც თავის მხრივ სტრასბურგის სასამართლოს მიერ განხორციელებული ევროპული კონტროლის საგანს შეადგენს.[10]

---

[8] საქმე Couderc and Hachette Filipacchi Associés v. France [GC], no. 40454/07, ECHR 2015, 10/11/2015, §91.

[9] საქმეები Von Hannover v. Germany (no. 2) 7.02.2012, §§109-113 და Axel Springer AG v. Germany, (GC), no. 39954/08, 7.02.2012, §§90-95.

[10] პირველი საქმე, რომელმაც ჩამოაყალიბა პოზიტიური ვალდებულების კონცეფცია იყო მარქსი ბელგიის წინააღმდეგ: Marckx v. Belgium, Nr. 6833/74, 13.06.1979, §31.

საქმე *„ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ“*[11] საყურადღებოა იმით, რომ კონვენციით განმტკიცებული გამოხატვის თავისუფლება დაუპირისპირდა პირის რეპუტაციის დაცვის უფლებას. საქმე ეხებოდა იუსტიციის მინისტრის მიერ მედიაში საჯაროდ გაკეთებულ განცხადებაში გამოთქმულ ბრალდებას კორუფციასა და თაღლითურ მოქმედებებში მომჩივნის მონაწილეობის შესახებ, რომელიც არ იყო კონკრეტული ფაქტებით გამაგრებული.

ეროვნულმა სასამართლოებმა მომჩივნის მოთხოვნა არ დააკმაყოფილეს იმ მოტივით, რომ განცხადება გაკეთებული იყო საჯარო პირის მიმართ მნიშვნელოვანი საჯარო დისკუსიის ფარგლებში და მომჩივანმა ვერ დაადასტურა, რომ მინისტრმა იცოდა გავრცელებული ფაქტების მცდარობის შესახებ. ამიტომ ის ვალდებული იყო ეთმინა დასაშვები კრიტიკა.

მთავრობის არგუმენტის საწინააღმდეგოდ, რომ ჩარევა არ იყო იმგვარი სიმწვავის, რომ გამოეწვია კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დაცვა (§ 39),[12] სტრასბურგის სასამართლომ უპასუხა, რომ მინისტრის მიერ საჯაროდ გამოთქმული აშკარა ინსინუაციები, რომ მომჩივანი ჩართული იყო ფულის მიღების სანაცვლოდ პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ არასწორი სამედიცინო დასკვნების გაცემაში, იყო მძიმე. ეს განცხადებები ტოვებდნენ მომჩივნის მიერ დანაშაულის ჩადენის შთაბეჭდილებას, რაც შესაძლოა ზიანის მომტანი ყოფილიყო მისი, როგორც ექიმის და სამოქალაქო საზოგადოების აქტიური წარმომადგენლის, რეპუტაციისთვის. ეს კი საკმარისად ჩაითვალა კონვენციის მე-8 მუხლით გათვალისწინებული დაცვის ასამოქმედებლად (§ 47).

სამართლიანი ბალანსის ტესტის ცალკეული საკითხების შეფასებისას, სტრასბურგის სასამართლო დაეთანხმა ეროვნული სასამართლოების შეფასებას, რომ სადავო განცხადებები გაკეთებული იყო საჯარო ინტერესის მქონე მნიშვნელოვან საკითხებზე გამარ-

---

[11] საქმე ჯიშკარიანი საქართველოს წინააღმდეგ, N18925/09, 20.09.2018.

[12] ფრჩხილებში ჩასმული ციფრი აღნიშნავს მითითებული გადაწყვეტილების პარაგრაფს.

თული დებატების ფარგლებში, რაც წარმოადგენდა საჯარო დებატებში შეტანილ წვლილს (§ 49). სასამართლომ ასევე გაიზიარა ეროვნული სასამართლოების მიერ მომჩივნის მიჩნევა საჯარო პირად, მათ შორის ეროვნული კანონმდებლობის მიხედვით (§ 50). შესაბამისად, დასაშვები კრიტიკის ფარგლები მის მიმართ იყო უფრო ფართო, ვიდრე ჩვეულებრივი მოქალაქეების მიმართ (§ 51).[13]

განცხადების შინაარსის, ფორმისა და შედეგების შეფასებისას სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მინისტრის განცხადებას შეფასებითი მსჯელობის კვალიფიკაცია მისცეს, თუმცა არც ერთ ინსტანციას არ შეუფასებია, თუ რამდენად შეიძლებოდა ყოფილიყო შეფასებითი მსჯელობა მძიმე ბრალდების შემცველი მომჩივნის პიროვნების მიმართ. აღნიშნული გადაწყვეტილების ცენტრალური საკითხი სწორედ ამას უკავშირდება: რამდენად აუცილებელია შეფასებითი მსჯელობა განმტკიცებული იყოს ფაქტობრივი გარემოებებით? სტრასბურგის სასამართლო დაეყრდნო მის სამოსამართლო სამართალს, რომლის თანახმად, **საჯარო განცხადება თუნდაც წარმოადგენდეს შეფასებით მსჯელობას, უნდა შეიცავდეს საკმარის ფაქტობრივ საფუძველს მის გასამყარებლად, წინააღმდეგ შემთხვევაში ის ჩაითვლება არასათანადოდ (§ 53)**.[14]

სტრასბურგის სასამართლო დაეყრდნო ეროვნული სასამართლოების დასკვნას, რომ მინისტრის მიერ გაჟღერებულ ბრალდების საქმეზე არასდროს არ ჩატარებულა გამოძიება და რომ ეს ბრალდებები შეიძლებოდა „ყოფილიყო მცდარი ფაქტების შემცველი“. შესაბამისად, მინისტრის ბრალდებები, თუნდაც ისინი მიჩნეულიყო შეფასებით მსჯელობად, მოკლებული იყო სათანადო ფაქტობრივ საფუძვლებს (§59). სასამართლომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „კონვენცია არ შეიძლება განიმარტოს იმგვარად, რომ პირებს მოეთხოვოთ ითმინონ კონვენციის მე-8 მუხლით დაცული მათი უფლებების კონტექსტში ის, რომ საჯაროდ იქნენ დადანაშა-

[13] დასაშვები კრიტიკის ფარგლების საკითხზე იხ. საქმე Fürst-Pfeifer v. Austria, nos. 33677/10 and 52340/10, 17.05.2016, §46.

[14] დამატებით იხ. საქმეები Egill Einarsson v. Iceland, no. 24703/15, 07.11.2017, §36; Fürst-Pfeifer v. Austria, §46.

ულებულნი დანაშაულის ჩადენაში ხელისუფლების იმ თანამდებობის პირთა მხრიდან, რომელთაგან საზოგადოება მოელის გადამოწმებულ ინფორმაციას ამ ბრალდებებთან დაკავშირებით და არა ფაქტებით გაუმყარებელ განცხადებებს“ (§62).[15] შესაბამისად, სასამართლო ვერ დარწმუნდა, თუ რატომ მიანიჭეს ეროვნულმა სასამართლოებმა უპირატესობა მინისტრის გამოხატვის თავისუფლებას მომჩივნის რეპუტაციის ხელშეუხებლობის საპირისპიროდ: ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაადგინეს სამართლიანი ბალანსი კონკურენტულ ინტერესებს შორის (§ 63).[16]

სტრასბურგის სასამართლოს ეს გადაწყვეტილება ორი თვალსაზრისით იმსახურებს ყურადღებას. **პირველი,** სასამართლომ ხაზი გაუსვა შეფასებითი მსჯელობის ფარგლებს. მართალია, შეფასებითი მსჯელობა დემოკრატიულ საზოგადოებაში განსაკუთრებულად არის დაცული და მისი ფარგლები საკმაოდ ფართოა, მაგრამ, როცა ის შეეხება პირის მხილებას დანაშაულის ჩადენაში, ის უნდა იყოს გამყარებული კონკრეტული ფაქტებით. **მეორე,** გამოხატვის თავისუფლების განხორციელებებისას მაღალი თანამდებობის პირებს მეტი გულისხმიერება მოეთხოვებათ, რადგან მათგან საზოგადოება მოელის გადამოწმებულ ინფორმაციას. შესაბამისად, მათ თავი უნდა შეიკავონ ბრალდებების საჯაროდ გამოთქმისაგან.

სამართლიანი ბალანსის ტესტის დარღვევა პირადი ცხოვრების უფლების დაცულობის საზიანოდ დაადგინა სტრასბურგის სასამართლომ საქმეში *დუპატე ლატვიის წინააღმდეგ*.[17] სასამართლოს აზრით, ეროვნულმა სასამართლოებმა ვერ დაიცვეს დედის პირადი სფერო ბავშვის გაჩენის შემდეგ, როცა ჟურნალისტებმა გამოა-

---

[15] ზუსტი ციტატა: “The Court reiterates in this connection that the Convention cannot be interpreted to require individuals to tolerate, in the context of their rights under Article 8 of the Convention, being publicly accused of criminal acts by Government officials who are expected by the public to possess verified information concerning those accusations, without such statements being supported by facts“ (see, mutatis mutandis, Egill Einarsson, cited above, §52).

[16] The Court therefore considers that the domestic courts failed to strike a fair balance between the competing interests involved.

[17] საქმე Dupate v. Latvia, no. 18068/11, 19.11.2020.

ქვეყნეს ფარულად გადაღებული ფოტოები, რომლებზეც ჩანს, თუ როგორ ტოვებს მომჩივანი სამშობიაროს თოთო ბავშვით ხელში.

სტრასბურგის სასამართლო დაეთანხმა ეროვნულ სასამართლოებს, რომ მომჩივანს, როგორც საჯარო პირის მეუღლეს, უნდა ჰქონოდა იმის მოლოდინი, რომ მედიაში მას ბავშვის დედად მოიხსენიებდნენ, მაგრამ გამოქვეყნებული სტატია გაცილებით უფრო წინ წავიდა პირადი ცხოვრების დეტალების გამოქვეყნებაში, ვიდრე ეს მოსალოდნელი იყო (§56). სასამართლოს აზრით, მეტი სიფრთხილეა საჭირო, როცა საჯარო პირის პარტნიორი მხოლოდ მისი პირადი და საოჯახო ცხოვრების გამო ხდება მედიის ყურადღების ცენტრში (§57). ეროვნულ სასამართლოებს უნდა გაეთვალისწინებინათ, რომ ფოტოები მალულად იყო გადაღებული ისეთ სიტუაციაში, რომელიც მომჩივანს არ შეეძლო თავიდან აეცილებინა – სამშობიაროდან გამოსვლა თოთო ბავშვით ხელში (§73). მართალია, ეროვნულმა სასამართლოებმა შეაფასეს ორ ინტერესს შორის ბალანსის საკითხი და ის გამოხატვის თავისუფლების სასარგებლოდ გადაწყვიტეს, მაგრამ ეს არ შეესაბამებოდა სტრასბურგის სასამართლოს დადგენილ ტესტს (§74).

სამართლიანი ბალანსის ტესტის უგულებელყოფის გამო დადგინდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა საქმეში *როდინა ლატვიის წინააღმდეგ*,[18] რომელიც შეეხებოდა საოჯახო ცხოვრების დეტალების შესახებ ფოტოსურათებისა და ინფორმაციის გამოქვეყნებას მედიაში. სტრასბურგის სასამართლომ ხაზი გაუსვა სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას დაიცვას პირადი ცხოვრება და გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით უზრუნველყოს სამართლიანი ბალანსის დაცვა (§ 103), განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება საზოგადოებისათვის უცნობი პირის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებას, თუნდაც ეს ინფორმაცია სინამდვილეს ასახავდეს (§§113-114).

სტრასბურგის სასამართლოს შეფასებით, გამოქვეყნებული პუბლიკაციები მიზნად ისახავდნენ მომჩივნის მორალურად დასაგმობი ქცევის შთაბეჭდილების შექმნას, თითქოს მან სათანადო და-

[18] საქმე Rodina v. Latvia, nos. 48534/ and 19532/15, 14.05.2020.

ხმარება არ აღმოუჩინა მის ავადმყოფ და მოხუცებულ დედას, რაც პირად სფეროში უხეშ ჩარევას წარმოადგენდა (§115). გამოქვეყნებულ პუბლიკაციებს, სასამართლოს აზრით, არც საზოგადოებისთვის აქტუალურ დისკუსიაში შეჰქონდათ რაიმე წვლილი (§§133-134). შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ შიდა სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს სათანადო ბალანსი გამოხატვის თავისუფლებასა და პირადი ცხოვრების დაცულობის უფლებას შორის, რითაც დაარღვიეს კონვენციის მე-8 მუხლი (§135).

## 2. ინფორმაციის მოთხოვნის უფლება და პირადი ცხოვრების დაცულობა

სტრასბურგის სასამართლოს დიდმა პალატამ 2016 წლის 8 ნოემბერს მიიღო გადაწყვეტილება *მაგიარ ჰელსინკი ბიზოტსაგ უნგრეთის წინააღმდეგ*,[19] რომელმაც გამოხატვის თავისუფლების განხორციელების ფარგლებში დაადგინა საჯარო დაწესებულების ხელთარსებული ინფორმაციის მოთხოვნის წინაპირობები. კერძოდ, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი არ ანიჭებს პირს საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე წვდომის უფლებას და არ აკისრებს მთავრობას პირისთვის ამ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. თუმცა, ამგვარი უფლება ან ვალდებულება შეიძლება წარმოიშვას, პირველ რიგში მაშინ, როცა არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს ბრძანება ინფორმაციის გაცემის შესახებ და მეორე, იმ შემთხვევებში, როდესაც ინფორმაციაზე წვდომა წარმოადგენს გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობის არსებით ნაწილს.[20]

---

[19] საქმე Magyar Helsinki Bizottság v. Hungary [GC] – no. 18030/11, 8.11.2016

[20] საქმე Magyar Helsinki Bizottság v. Hungary [GC], §156. ზუსტი ციტატა: „The Court further considers that Article 10 does not confer on the individual a right of access to information held by a public authority nor oblige the Government to impart such information to the individual. However, as is seen from the above analysis, such a right or obligation may arise, firstly, where disclosure of the information has been imposed by a judicial order which has gained legal force (which is not an issue in the present case) and, secondly, in circumstances where access to the information is instrumental for the

იმის დასადგენად, შეიძლება თუ არა საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის მოთხოვნაზე უარი მოექცეს კონვენციის მე-10 მუხლის მოქმედების სფეროში, სტრასბურგის სასამართლომ შემოიღო **ოთხ კრიტერიუმიანი ტესტი**:[21] ა. ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი; ბ. მოთხოვნილი ინფორმაციის ბუნება; გ. ინფორმაციის მაძიებლის სპეციალური როლი საზოგადოებისათვის ამ ინფორმაციის „მიღებასა და გავრცელებაში", და დ. იყო თუ არა ინფორმაცია მზა და ხელმისაწვდომი.[22] ყოველი საქმის კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით უნდა შეფასდეს, პირველი, გამოიყენება თუ არა საჯარო დაწესებულების უარზე კონვენციის მე-10 მუხლი, და, მეორე, დაირღვა თუ არა კონვენციის ამ მუხლის მოთხოვნა.

საქმეში *სტუდია მონიტორი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ*[23] სტრასბურგის სასამართლომ ზემოთ აღნიშნული ოთხ კრიტერიუმიანი ტესტის საფუძველზე შეაფასა იმ მომჩივნების საჩივრები, რომელთაც ეროვნულმა სასამართლოებმა უარი უთხრეს ერთ-ერთ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომაზე, რადგან ეს მასალები შეიცავდა დამნაშავედ ცნობილი პირის შესახებ პირად ინფორმაციას (ამასთან, მომჩივნებს არ მიუთითებიათ მიზნები, რისთვისაც სჭირდებოდა ეს ინფორმაცია (პირველი და მეორე მომჩივნის საჩივრები), და სისხლის სამართლის ექვს სხვადასხვა საქმეში აღკვეთის ღონისძიებათა გამოყენების შესახებ სასამართლოს განჩინებათა ასლების მიღებაზე (არც აქ დაუკონკრეტებია მესამე მომჩივანს ამ ინფორმაციის მიღების მიზანი).

სასამართლომ გაიმეორა, რომ კონვენციის მე-10 მუხლი პირებს არ ანიჭებს საჯარო დაწესებულებაში არსებულ ინფორმაციაზე წვდომის აბსოლუტურ უფლებას. მართალია, პირველი და მეორე

---

individual's exercise of his or her right to freedom of expression, in particular "the freedom to receive and impart information" and where its denial constitutes an interference with that right".

[21] Four-criteria test: Mikiashvili v. Georgia and Studio Monitori v. Georgia, nos. 18865/11 and 51865/11, 19.01.2021, §49.

[22] საქმე Magyar Helsinki Bizottság v. Hungary [GC], §157.

[23] საქმე Studio Monitori and Others v. Georgia, nos. 44920/09 and 8942/10, 30.01.2020.

მომჩივნები იყვნენ ჟურნალისტები და, შესაბამისად, განეკუთვნებოდნენ საჯარო დაწესებულებაში არსებული ინფორმაციის მოთხოვნის შესაძლო უფლების მქონე პირებს, მაგრამ ინფორმაციის მოთხოვნის მიზანი არ აკმაყოფილებდა მე-10 მუხლის კრიტერიუმებს, კერძოდ, მათ არ მიუთითეს, თუ რისთვის სჭირდებოდათ ეს ინფორმაცია (§40). გარდა ამისა, მომჩივნებმა მოთხოვნილი ინფორმაციის გარეშეც დაასრულეს ჟურნალისტური გამოძიება და შედეგები გამოაქვეყნეს კიდევაც. შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმის მასალებზე წვდომის მოთხოვნა მათთვის არ წარმოადგენდა გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისთვის არსებითი ხასიათის მქონეს (§41). რაც შეეხება მესამე მომჩივანს, ის არ იყო არც ჟურნალისტი და არც ე.წ. „საზოგადოებრივი დარაჯის“, როგორიცაა, მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაცია, წარმომადგენელი. შესაბამისად, მის მიერ ინფორმაციის მოთხოვნა საერთოდ არ აკმაყოფილებდა მე-10 მუხლით გათვალისწინებულ საჯარო ინტერესის ტესტს (§42).

აღნიშნულ გადაწყვეტილებაში სტრასბურგის სასამართლომ ყურადღება გაამახვილა კიდევ ერთ გარემოებაზე, კერძოდ, ის ფაქტი, რომ მომჩივნების მიერ მოთხოვილ სისხლის სამართლის საქმეებზე ბრალდებული პირები ცნობილ საჯარო პირებს წარმოადგენდნენ, კონვენციის მე-10 მუხლის მიხედვით, თავისთავად არ არის საკმარისი მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე შესაბამისი სასამართლო განჩინებების სრული ასლების გასაჯაროების გასამართლებლად, მით უფრო, თუ ეს შეეხება კანონით გათვალისწინებულ არასაჯარო ინფორმაციას (§42).

საქმე *„მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“* და *„სტუდიო მონიტორი და კობახიძე საქართველოს წინააღმდეგ“*[24] (შემდგომში – *„მიქიაშვილი საქართველოს წინააღმდეგ“*) საყურადღებოა იმით, რომ ოთხ კრიტერიუმიანი ტესტის მესამე კრიტერიუმი – მოთხოვნილი ინფორმაციის ბუნება, აღმოჩნდა გადამწყვეტი საჩივრის დაუშვებლად მიჩნევისათვის.

[24] Mikiashvili v. Georgia and Studio Monitori v. Georgia, nos. 18865/11 and 51865/11, 19.01.2021.

პირველი მომჩივანი ითხოვდა სამი სხვადასხვა მკვლელობისათვის მსჯავრდებული პირის შესახებ ინფორმაციას იმ მოარული ჭორების გასაბათილებლად, თითქოს ეს პირი უკვე აღარ იმყოფებოდა ციხეში, კერძოდ, იხდიდა თუ არა იგი სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელს და კონკრეტულად რომელ დაწესებულებაში. ამასთან, მომჩივანი აღნიშნავდა, რომ ის იყო ჟურნალისტი, თუმცა არ უთითებდა ინფორმაციის მიღების მიზანს. სამინისტრომ მის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში დაადასტურა პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებულის ყოფნისა და სასჯელის მოხდის ფაქტი, თუმცა უარი განაცხადა მსჯავრდებულის ადგილსამყოფელის დასახელებაზე. ეროვნულმა სასამართლოებმა იმაზე მითითებით, რომ ინფორმაცია პირის ადგილსამყოფელის შესახებ შეიცავდა პირად მონაცემებს და ის იყო კონფიდენციალური, უარი უთხრეს მომჩივანს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

მეორე და მესამე მომჩივნები – ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაცია და ჟურნალისტი, ითხოვდნენ ინფორმაციას იუსტიციის სამინისტროს თანამშრომლების არასახელფასო ანაზღაურებისა და დანამატების შესახებ 2004 წლიდან. ეროვნულმა სასამართლოებმა გაიზიარეს სამინისტროს უარის არგუმენტები, რომ ეს ინფორმაცია უკვე იყო ხელმისაწვდომი გამოქვეყნებული საჯარო დეკლარაციების მეშვეობით. გარდა ამისა, შეუძლებელი იყო ინდივიდუალურად ყველა თანამშრომლის შემოსავლების შესახებ ინფორმაციის მომზადება და მიწოდება.

სტრასბურგის სასამართლომ ოთხ კრიტერიუმიანი ტესტის გამოყენებისას დაადასტურა მომჩივნების, როგორც ჟურნალისტის და არასამთავრობო ორგანიზაციის, შესაძლო უფლება ინფორმაციის მიღებაზე (§49). რაც შეეხება მოთხოვილი ინფორმაციის მიზანს, სასამართლომ დააზუსტა, რომ მოთხოვილი ინფორმაციის მიზანზე მითითება, კერძოდ, თუ რამდენად არსებითია ამ ინფორმაციის მიღება გამოხატვის თავისუფლების განსახორციელებლად, უნდა მოხდეს ეროვნული სასამართლოების წინაშე და ეს არ უნდა

გაკეთდეს პირველად სტრასბურგის სასამართლოში.[25] მართალია, მომჩივნებს ამ საქმეში მოთხოვილი ინფორმაციის მიზანზე მითითება არ გაუკეთებიათ ადმინისტრაციული ორგანოების წინაშე, მაგრამ ეროვნულ სასამართლოებში მათ ეს გააკეთეს, რითაც დააკმაყოფილეს მოთხოვნილი ინფორმაციის მიზნის კრიტერიუმი, განსხვავებით საქმისაგან *„სტუდიო მონიტორი საქართველოს წინააღმდეგ“* (§ 51).

მოთხოვილი ინფორმაციის ბუნების შეფასებისას სტრასბურგის სასამართლომ ე.წ. საჯარო ინტერესის ტესტზე დაყრდნობით დამაჯერებლად არ მიიჩნია მომჩივნების არგუმენტი, რომ საზოგადოების ინტერესი მხოლოდ მაშინ დაკმაყოფილდებოდა, თუკი მას მიეწოდებოდა ინფორმაცია მსჯავრდებულის ადგილსამყოფელის შესახებ და რატომ არ იყო საკმარისი სასჯელაღსრულების დაწესებულების მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მსჯავრდებული იხდიდა სასჯელს. გარდა ამისა, მომჩივანს თვითონ შეეძლო ეკითხა მსჯავრდებულისთვის, სურდა თუ არა მას ამ ინფორმაციის გამჟღავნება (§53). სასამართლომ არც ის არგუმენტი მიიჩნია სარწმუნოდ, თუ რატომ იყო, რომ მხოლოდ ყოველთვიური სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაციით შეიძლებოდა საზოგადოების ინტერესი დაკმაყოფილებულიყო (§54). გარდა ამისა, სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ოთხ კრიტერიუმიანი ტესტის მეოთხე კრიტერიუმზე, თუ რამდენად მზა და ხელმისაწვდომი იყო ეს ინფორმაცია (§55).

საქმეში *„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია საქართველოს წინააღმდეგ“*[26] სტრასბურგის სასამართლომ დასაბუთებულად არ ჩათვალა დემონსტრაციის დაშლაში გადაჭარბებული ძალის გამოყენებისათვის დისციპლინური წესით დასჯილი პოლიციელების პერსონალური მონაცემების მოთხოვნა. სასამართლოს შეფასებით, მომჩივანმა, რომელიც, მართალია, წარმოადგენდა არასამთავრო-

[25] შედარებისთვის იხ. საქმე: Centre for Democracy and the Rule of Law v. Ukraine (dec.), no. 75865/11, 03.03.2020, §§ 51, 54 and 57-62.
[26] საქმე Georgian Young Lawyer's Association v. Georgia, no. 2703/12, 19.01.2021.

ბო ორგანიზაციას და „საზოგადოებრივი დარაჯის“ ფუნქციიდან გამომდინარე, უფლებამოსილი იყო მოეთხოვა საჯარო დაწესებულების ხელთ არსებული ინფორმაცია, ვერ დაასაბუთა, თუ როგორ უნდა დაკმაყოფილებულიყო კონკრეტული პოლიციელების სახელებისა და გვარების გამოქვეყნებით საზოგადოების ინტერესი და რატომ იყო ეს ინფორმაცია მისთვის არსებითი, ოთხ კრიტერიუმიანი ტესტის მიხედვით (§33).

ამ საქმეშიც საჯარო დაწესებულების ხელთ არსებული ინფორმაციის მოთხოვნის უფლებასა და პირადი ცხოვრების უფლებას შორის სტრასბურგის სასამართლომ უპირატესობა მიანიჭა პირადი ცხოვრების დაცულობის უზრუნველყოფას იმის ხაზგასმით, რომ პირადი ინფორმაციის გამჟღავნება საზოგადოების ინტერესების დასაკმაყოფილებლად მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში შეიძლება იყოს დასაშვები. მართალია, ინფორმაციის მოთხოვნის უფლების შესაბამისობა კონვენციის მე-10 მუხლთან სასამართლომ დასაშვებობის ეტაპზე შეამოწმა და არსებითად არ მოუხდენია მე-8 და მე-10 მუხლების თანაფარდობის შეფასება, აშკარაა, რომ ამ გადაწყვეტილებებში პირადი მონაცემების დაცვა მნიშვნელოვან მიზნად არის დასახული. არაპირდაპირ ეს ნიშნავს **სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას არ გაამჟღავნოს, შესაბამისი საჭიროების გარეშე, მის ხელთ არსებული პირადი მონაცემები, თუნდაც ეს შეხებაში იყოს გამოხატვის თავისუფლებასთან**.

## 3. გამოხატვის თავისუფლება და პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკა

გამოხატვის თავისუფლება ხელშესახებად მნიშვნელოვანია მედიისათვის. შეუძლებელია თავისუფალი მედიის არსებობა გამოხატვის თავისუფლების გარეშე. ინფორმაციის მოძიება წარმოადგენს ჟურნალისტური საქმიანობის არსებით შემადგენელ ნაწილს და განსაკუთრებულ კონვენციურ დაცვას ექვემდებარება. ამ საქმიანობის შეზღუდვა, განსაკუთრებით მის მოსამზადებელ ეტაპზე – ინფორმაციის მოპოვების პროცესში სტრასბურგის სასამარ-

თლოს მხრიდან მკაცრი კონტროლის საგანია.[27] ჟურნალისტური საქმიანობისთვის ხელის შეშლა, მისთვის ბარიერების შექმნა და ინფორმაციის შეგროვებისთვის წინააღმდეგობის გაწევამ შესაძლოა ის შედეგი გამოიღოს, რომ მედიამ ვეღარ შეძლოს „საზოგადოებრივი დარაჯის" ფუნქციის შესრულება და საზოგადოებისთვის სანდო და გადამოწმებული ინფორმაციის მიწოდება.[28] სტრასბურგის სასამართლომ არაერთგზის აღნიშნა, რომ **კონვენციის მე-10 მუხლი იცავს პასუხისმგებლიან ჟურნალისტიკას**, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ გავრცელებული ინფორმაციის შინაარსით, არამედ მოიცავს ასევე ჟურნალისტების მართლზომიერ ქცევას, განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს შეეხება სახელმწიფო ინსტიტუტებთან ურთიერთობას ჟურნალისტური საქმიანობის განხორციელებისას.[29] კანონის მოთხოვნების დარღვევა ჟურნალისტების ქცევის შეფასებისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმია. სასამართლოს აზრით, ჟურნალისტები არ შეიძლება გათავისუფლდნენ სამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან და ისინი არ სარგებლობენ იმუნიტეტით, როცა სამართლებრივ პასუხისმგებლობაზეა საუბარი.[30]

სტრასბურგის სასამართლომ საქმეში *„ამაღლობელი და სხვები საქართველოს წინააღმდეგ"*[31] გაიზიარა ეროვნული სასამართლოების არგუმენტები, რომლებმაც მომჩივნების მიერ პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკის მოთხოვნების დარღვევა დაადგინეს. საქმე შეეხებოდა ინფორმაციის მოპოვების მიზნით ჟურნალისტების უნებართვოდ შეჭრას უცხო პირთათვის აკრძალულ საბაჟო კონ-

---

[27] საქმე Dammann v. Switzerland, no. 77551/01, 25.04.2006, §52.
[28] საქმე Shapovalov v. Ukraine, no. 45835/05, 31.07.2012, §68.
[29] Amaghlobeli and Others v. Georgia, no. 41192/11, 20.05.2021, § 37: "The concept of responsible journalism, as a professional activity which enjoys the protection of Article 10 of the Convention, is not confined to the contents of information which is collected and/or disseminated by journalistic means. This concept also encompasses, amongst other things, the lawfulness of the conduct of a journalist, including his or her public interaction with the authorities when exercising journalistic functions".
[30] საქმე Pentikäinen v. Finland [GC], no. 11882/10, ECHR 2015, §§90-91.
[31] საქმე Amaghlobeli and Others v. Georgia, no. 41192/11, 20.05.2021.

ტროლის ზონაში. საბაჟოს თანამშრომლების მხრიდან  მრავალგზის გაფრთხილების მიუხედავად მათ არ დატოვეს საბაჟო კონტროლის ზონა, რის გამოც დაჯარიმდნენ ადმინისტრაციული წესით. მომჩივანი ჟურნალისტების ძირითადი არგუმენტი, რომ ისინი დაისაჯნენ გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში განხორციელებული ჟურნალისტური საქმიანობისათვის, ეროვნულმა სასამართლოებმა არ გაიზიარეს იმ დასაბუთებით, რომ ისინი დაისაჯნენ არა ჟურნალისტური საქმიანობის, არამედ საბაჟო კონტროლის აკრძალულ ზონაში უნებართვოდ შეჭრის გამო.

სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა ეროვნული სასამართლოების მიერ კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად განხორციელებული სრულად დაბალანსებული შეფასება ჟურნალისტების სტატუსისა გამოხატვის თავისუფლებასთან მიმართებით და ხაზი გაუსვა იმას, რომ არ არსებობდა ეროვნული სასამართლოების შეხედულებების რევიზიის სერიოზული მიზეზი (§38). სასამართლოს აზრით, იმით, რომ ჟურნალისტებმა არ მოითხოვეს საბაჟო კონტროლის ზონაში შესვლის ნებართვა ან/და არ დაემორჩილნენ საბაჟოს ოფიცრების მოწოდებას დაეტოვებინათ აკრძალული ზონა, დაარღვიეს კანონის მოთხოვნები, რაც არ ჯდება „პასუხისმგებლიანი ჟურნალისტიკის“ ცნებაში. არსებულ სამოსამართლო სამართალზე მითითებით,[32] სტრასბურგის სასამართლომ გაიმეორა, რომ ჟურნალისტები არ შეიძლება გათავისუფლდნენ კანონის დაცვის მოვალეობისაგან (§39). სასამართლომ ყურადღება მიაქცია ასევე იმ გარემოებას, რომ ხელისუფლებას არ შეუშლია ხელი ჟურნალისტებისთვის სრულად გამოეყენებინათ ჟურნალისტური გამოძიების შედეგად მოპოვებული მასალა მათ მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციებში (§40). საბოლოო ჯამში, სტრასბურგის სასამართლომ დაასკვნა, რომ ეროვნული სასამართლოების მიერ განხორციელებული შეფასება სრულად შეესაბამებოდა კონვენციის სტანდარტებს (§41).[33]

---

[32] საქმე Stoll v. Switzerland [GC], no. 69698/01, ECHR 2007-V, §102.

[33] Amaghlobeli and Others v. Georgia, §41: “The Court concludes that the domestic courts examined the question at issue with care and in line with the Court’s case-law, and that the reasons given to justify their decisions were

## 4. გამოხატვის თავისუფლება და რელიგიური სიმბოლოები

საქმე *„გაჩეჩილაძე საქართველოს წინააღმდეგ“*[34] საყურადღებოა იმით, რომ დღის წესრიგში დადგა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საკითხი მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების პატივისცემის ობიექტის გაუმართლებელი შეურაცხყოფის საფუძველზე. სტრასბურგის სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა ეროვნული სასამართლოების შეფასება პრეზერვატივებზე გამოხატულ ისტორიულ თუ რელიგიურ სიმბოლოებთან დაკავშირებით.

დავის საგანი იყო ინდმეწარმის მიერ დამზადებულ პრეზერვატივებზე გამოსახული სიმბოლოები, რომლებიც ეროვნული სასამართლოების მიერ შეფასდა არაეთიკურ რეკლამად, აიკრძალა შესაბამისი დიზაინების გამოყენება და გავრცელება, მომჩივანს დაევალა პროდუქციის ამოღება გაყიდვიდან. მისი მცდელობა დაეცვა თავისი წამოწყება გამოხატვის თავისუფლების სტანდარტებზე დაყრდნობით, ეროვნულ დონეზე უშედეგოდ დამთავრდა.

საქმის ერთ-ერთი მთავარი საკითხი შეეხებოდა მომჩივნის მიერ გამოყენებული დიზაინის მიზანს. თუ მას ექნებოდა მხოლოდ კომერციული გამოხატვის მიზანი, ეროვნულ სახელისუფლო ორგანოებს შეფასების უფრო ფართო ფარგლები ექნებოდათ და სამოსამართლო სამართლის მიხედვით, კონვენციის მე-10 მუხლის საფუძველზე შეეძლოთ მომჩივნის მიერ გამოყენებული გამოხატვა შეეზღუდათ.[35] ეროვნულმა სასამართლოებმა დაადგინეს, რომ სადავო ოთხი დიზაინი წარმოადგენდა „გამოხატვას“ მხოლოდ კომერციულ კონტექსტში.[36] სტრასბურგის სასამართლო არ დაეთანხმა ამ შეფა-

---

adequate. The Court does not therefore see any strong reason to substitute its own assessment for that of the domestic courts (see Mouvement raëlien suisse v. Switzerland [GC], no. 16354/06, § 76, ECHR 2012 (extracts)".

[34] საქმე Gachechiladze v. Georgia, no. 2591/19, 22.07.2021.

[35] საქმე Sekmadienis Ltd. v. Lithuania, no. 69317/14, 30.01.2018, §§76-77

[36] პრეზერვატივებზე გამოყენებული იყო შემდეგი დიზაინები: „სამეფო კარი თამარში“, პანდას ვიზუალი წარწერით „ჩამოვკრავდი, მაგრამ ნათლისღებაა“, ქალის მარცხენა ხელი წამოცმული პრეზერვატივით და გვირგვინიანი დიზაინი წარწერით „ძლევაი საკვირველი“.

სებას და აღნიშნა, რომ მომჩივნის ბრენდი მიზნად ისახავდა საჯარო დებატების დაწყებას ან ხელშეწყობას საზოგადოებრივი ინტერესის მქონე სხვადასხვა საკითხთან მიმართებით. კერძოდ, ბრენდის დეკლარირებული მიზანი, რომელიც გაცხადდა მისი დაფუძნების დროს, იყო სტერეოტიპების დამსხვრევა და „სექსისა და სექსუალობის სათანადო გაგების ხელშეწყობა". გარდა ამისა, მომჩივნის ორგანიზაცია გამოირჩეოდა თავისი აქტიურობით სამოქალაქო და პოლიტიკურ საკითხებში. შესაბამისად, სადავო გამოხატვის განხილვა მხოლოდ კომერციულ კონტექსტში, სასამართლოს აზრით, არ იყო გამართლებული. იმ ვითარებაში, როცა ნაწილობრივ მაინც იკვეთება საჯარო ინტერესის მქონე საკითხებზე მოსაზრებების გამოხატვა, ეროვნული სასამართლოების შეფასების ფარგლები უფრო ვიწროა იმ შემთხვევებისაგან განსხვავებით, რომლებიც მხოლოდ კომერციულ გამოხატვას ეხება (§55).[37]

სადავო დიზაინებიდან სტრასბურგის სასამართლომ, იმის გათვალისწინებით, რომ ეროვნულ სასამართლოებს უკეთესად შეეძლოთ მხედველობაში მიეღოთ ეროვნული კონტექსტი, ნაწილობრივ გაიზიარა თამარ მეფის დიზაინის თაობაზე ეროვნული სასამართლოების მიერ გაკეთებული შეფასებები, რომლებმაც ხაზი გაუსვეს წმინდანის ისტორიულ, კულტურულ და რელიგიურ მნიშვნელობას, მის გამოსახვას ფრესკებზე და ქართული ეკლესიის მიმართ წვლილს, მისი წმინდანობის უპირატესობას მისი, როგორც საჯარო პირის სტატუსთან მიმართებით და სადავო დიზაინის გამოყენების ფორმა მართლმადიდებელი ქრისტიანული სარწმუნოების პატივისცემის ობიექტის გაუმართლებელ შეურაცხყოფად მიიჩნიეს (§58).[38]

დანარჩენ დიზაინებთან დაკავშირებით სტრასბურგის სასამართლომ რელევანტურად არ მიიჩნია ეროვნული სასამართლოების

[37] Gachechiladze v. Georgia, §55: „In circumstances where a message on issues of public interest was at least partly involved, the margin of appreciation afforded to the domestic courts was necessarily narrower compared to situations concerning solely commercial speech".

[38] Gachechiladze v. Georgia, §58: „...the design could be seen as a gratuitous insult to the object of veneration for Georgians following the Orthodox Christian faith".

მიერ დასახელებული საფუძვლები მომჩივნის გამოხატვის თავისუფლებაში ჩარევის აუცილებლობისა და პროპორციულობის გასამართლებად (§61).

აღნიშნული გადაწყვეტილება საყურადღებოა იმითაც, რომ სტრასბურგის სასამართლომ მხარი დაუჭირა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს მოსაზრებას, რომ დაუშვებელია კონკრეტული პირის ან პირთა ჯგუფისთვის მისაღები ეთიკური ნორმების ან მსოფლმხედველობის სავალდებულოდ დადგენა სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის სახელმწიფო ინსტიტუტების, მათ შორის, სასამართლოს მეშვეობით (§62).

## დასკვნა

გამოხატვის თავისუფლებას, როგორც დემოკრატიული საზოგადოების მტკიცე საფუძველს, მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სტრასბურგის სასამართლოს სამოსამართლო სამართალში, განსაკუთრებით სხვა კონვენციურ უფლებებთან სამართლიანი წონასწორობის უზრუნველყოფის კონტექსტში. როდესაც საკითხი შეეხება კონვენციით გათვალისწინებულ უფლებათა შორის კონკურენციას, ეროვნულ სასამართლოებს აქვთ შეფასების თავისუფლება, რომელიც ევროპულ კონტროლს ექვემდებარება სტრასბურგის სასამართლოს მხრიდან. ეს უკანასკნელი, როგორც წესი, იზიარებს ეროვნული სასამართლოების შეფასებას, თუ ეს გაკეთებულია კონვენციის სტანდარტების დაცვით და ამ შეფასების რევიზიის სერიოზული საფუძველი არ არსებობს. ამ ასპექტით დიდი პრაქტიკული მნიშვნელობისაა სტრასბურგის სასამართლოს მიერ ჩამოყალიბებული სამართლიანი ბალანსისა თუ კონვენციის მე-10 მუხლის გამოყენების წინაპირობების ტესტები. სამართლიანი წონასწორობა გამოხატვის თავისუფლებასა და სხვა კონვენციურ უფლებებს შორის სტრასბურგის სასამართლოს სამოსამართლო სამართლის ფუძემდებლური პრინციპია.